საკრებულოს იურიდიულ

საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი №8

ქ. თერჯოლა 12.06.2026 წ

ან. ჭანტურიძის ქ.№7

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ბიძინა ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ბიძინა ბუცხრიკიძე; 2. ლაშა ლანჩავა; 3. ნინო ოქრუაძე; 4. გიორგი ყაზაიშვილი; 5. ჯემალ ისაკაძე; 6. გიორგი თურქაძე; 7. ეკა ბერძენიშვილი; 8. გიორგი ბარათაშვილი; 9. იუზა უგრეხელიძე; 10. ერეკლე კირკიტაძე; 11. ვლადიმერ მაკარიძე.

სხდომას არ ესწრებოდა: 0

სხდომას ასევე ესწრებოდა: თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - ანა მარგველაშვილი და საკრებულოს უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - ფიქრია ბუსკივაძე.

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი

კვორუმი: 6 წევრი

დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 11

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად

სხდომის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; **(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 08 ივნისის №28-282615953 წერილი).**

მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; **(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 08 ივნისის №28-282615953 წერილი).**

მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; **(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 08 ივნისის №28-282615953 წერილი).**

მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. **(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 08 ივნისის №28-282615953 წერილი).**

მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

5. ,,თერჯოლილის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 დეკემბრის №გ-29.2925337001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; **(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 09 ივნისის №28-282616087 წერილი)**

მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ. **(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 09 ივნისის №28-282616088 წერილი)**

მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი - არცერთი

<u>დღის წერიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1. მოისმინეს: მომხსენებელმა - იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო. წარმოდგენილი პირველი ხუთი საკითხი ეხება დღის წესრიგში ჩამოთვლილ დადგენილებებში ცვლილებებს, რაც განპირობებულია, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულში განხორციელებული რეორგანიზაციით. მომხსენებელის განმარტებით: არსებული ფუნქციები შინაარსობრივად ნაწილობრივ დუბლირდება ან ემთხვევა სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებულ უფლებამოსილებებს, რის გამოც იკვეთება ფუნქციათა გამიჯვნისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის საჭიროება. მერიის სისტემაში არსებული ვაკანტური საშტატო ერთეულების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მათი ნაწილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუვსებელია და მათი შენარჩუნება არსებულ ორგანიზაციულ სტრუქტურაში არ არის განპირობებული ფუნქციური აუცილებლობით, რის გამოც მიზანშეწონილია მათი სტრუქტურული გადახედვა.
აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, შესწორება განხორციელდა ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 დეკემბრის №გ-29.2925337001 განკარგულებაში, ცვლილების შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნება შემცირდა ერთი ერთეულით და მისი ამჟამინდელი რაოდენობა შეადგენს 15 (თხუთმეტი) ერთეულს.

აღნიშნულ დადგენილების პროექტებთან დაკავშირებით:

აზრი გამოთქვეს: 0

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტებს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 10 , წინააღმდეგი: 1

მომხსენებელმა - ბიძინა ბუცხრიკიძემ მე-6 საკითხად კომისიის წევრებს წარუდგინა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ მითითებული ხელშეკრულების დადებაზე მერისთვის თანხმობის მიცემით მოხდება მხარდაჭერა მუნიციპალიტეტში სოციალური და ჰუმანიტარული მხარდაჭერის სისტემის გაძლიერების, მოსახლეობის საჭიროებებზე დროული რეაგირების, ადგილობრივი თემების მდგრადობისა და თვითორგანიზების შესაძლებლობების გაუმჯობესება.

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით:

აზრი გამოთქვეს: 0

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 10 , წინააღმდეგი: 1

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

5. ,,თერჯოლილის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 დეკემბრის №გ-29.2925337001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად და შემდგომ, საკრებულოს სხდომას დასამტკიცებლად.

იურიდიულ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე - ბიძინა ბუცხრიკიძე